



ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების ანალიზი



ანალიზი მომზადებულია პროექტ „საზოგადოების გაძლიერება კარგი მართველობის ხელშეწყობისთვის“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდისა და ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდისა და ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოზიციას



Government of the Netherlands

შინაარსი

ძირითადი მიგნებები.....	3
შესავალი.....	4
საქართველოში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სტატისტიკა	4
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების სტატისტიკა	8
ინფრასტრუქტურის ადაპტირებაზე გაწეული ხარჯები.....	13
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე გაცემული მართვის მოწმობები და სატრანსპორტო საშუალებების საცნობი ნიშნები	15
შეჯამება.....	17

ძირითადი მიგნებები

- სახელმწიფო ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა შესახებ სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების წარმოებას, რის ვალდებულებაც ქვეყანას აღებული აქვს გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენციის მიხედვით.
- 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში სულ აღრიცხულია 100,113 შშმ პირი, მაშინ, როდესაც 2015 წლის 1 მარტის მდგომარეობით სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ რეგისტრირებულია 118,651 მხოლოდ სოციალური დახმარების მიმღები შშმ პირი, ხოლო 2017 წელს – 125,104.
- საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში 5,172 შშმ ბავშვია, ხოლო ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2017 წელს რეგისტრირებულია დაახლოებით ორჯერ მეტი – 10,052 სოციალური დახმარების მიმღები შშმ ბავშვი.
- 2014 წლის მდგომარეობით, საქართველოში 15 წლის და უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 96,102 პირიდან დასაქმებული იყო **34,4%** (33 027 პირი).
- დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების 86,2% წარმოადგენდა თვითდასაქმებულს, მაშინ, როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი დანარჩენ მოსახლეობაში შეადგენდა 53,6%-ს.
- 2014 წლის მდგომარეობით, საქართველოში 15 წლის და უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 96,102 პირიდან დაქირავებით დასაქმებული იყო მხოლოდ 4.8% – 4,571 პირი.
- შშმ პირების დასაქმების მაჩვენებელი უარესდება სტატუსის სიმძიმის მიხედვით. მაგალითად, მკვეთრად გამოხატული (I ჯგუფი) 15 წლის და ზემოთ შშმ პირებიდან დაქირავებით დასაქმებული იყო მხოლოდ 3.8%. მნიშვნელოვნად გამოხატული (II ჯგუფი) შშმ პირებიდან – 4.8%, ხოლო ზომიერად გამოხატული (III ჯგუფი) შშმ პირებიდან – 7.8%.
- 2014 წლის მდგომარეობით, ევროპის ქვეყნებში საშუალოდ შშმ პირთა დაქირავებით დასაქმების მაჩვენებელი 33,6%-ს შეადგენს, რაც 7-ჯერ აღემატება საქართველოს მაჩვენებელს.
- ქალაქ თბილისის მერიის და რაიონული გამგეობების მიერ, ხშირ შემთხვევაში, ვერ ხერხდება შშმ პირთათვის ინფრასტრუქტურის ადაპტირებაზე გაწეული ხარჯების პროექტის მთლიანი ხარჯებისგან განცალკევებით აღრიცხვა.
- 2017 წელს მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება შშმ პირებზე მართვის მოწმობებისა და ავტომობილების საცნობი ნიშნების გაცემის თავლსაზრისით.

შესავალი

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის (UNCPRD) მონაწილე სახელმწიფოები, რომლის რატიფიცირებაც საქართველომ 2013 წელს მოახდინა, იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ და ხელი შეუწყონ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა მიერ ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა სრულ რეალიზებას, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. ეს კონვენცია სახელმწიფოებს ასევე ავალდებულებს შშმ პირთა სტატისტიკური და კვლევითი მონაცემების შეგროვებას.

2017 წლის მიწურულს IDFI-ის მიერ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებიდან მოთხოვნილი და მიღებული მონაცემები, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის ბოლო წლების ანგარიშები¹ ნათლად აჩვენებს, რომ სახელმწიფო ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს შშმ პირთა შესახებ სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას. მაგალითად, მნიშვნელოვანი პრობლემები შეინიშნება შშმ პირთა ფუნქციური შეზღუდვის სახეების მიხედვით, დასაქმების თუ ინფრასტრუქტურის ადაპტირებასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების თვალსაზრისით.

მიუხედავად ქვეყანაში სტატისტიკის წარმოების თვალსაზრისით არსებული პრობლემებისა, IDFI-ის მიერ ქვემოთ წარმოდგენილია სახელმწიფო უწყებებიდან მიღებული მონაცემების ანალიზი, რომელიც ასახავს შშმ პირთა რაოდენობრივ მაჩვენებლებს რეგიონებისა და მათი სტატუსის მიხედვით. კვლევაში ასევე წარმოდგენილია, შშმ პირების დასაქმების, ინფრასტრუქტურის ადაპტირებაზე გაწეული ხარჯების, შშმ პირებზე გაცემული მართვის მოწმობების და მათ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე გაცემული სპეციალური საცნობი ნიშნების სტატისტიკური მონაცემების ანალიზი.

საქართველოში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სტატისტიკა

საქართველოში მცხოვრებ შშმ პირთა სტატისტიკა იწარმოება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ფარგლებში და სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ სოციალური პაკეტის და სხვა სახელმწიფო გასაცემელების მიმღები შშმ პირების მიხედვით.

საყოველთაო აღწერის ფარგლებში შშმ პირის სტატუსის დადგენა ხდება რესპოდენტის მიერ მიწოდებული ინფორმაციის – თვითშეფასების საფუძველზე. შედეგად, მსგავსი სახის სტატისტიკური მონაცემები ნაკლებად ინფორმაციულია და მათი სანდოობა ეფუძნება მხოლოდ მოსახლეობის სურვილს ან/და შესაბამის ცოდნას, საყოველთაო აღწერის ფარგლებში

¹ შშმ პირთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, საქართველოს სახალხო დამცველი, 2016 წ. გვ. 15


სახელმწიფოს მიაწოდოს ინფორმაცია მისი ან მისი ოჯახის წევრის შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მოწოდებული ბოლო, 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში სულ აღრიცხულია 100,113 შშმ პირი, რაც საერთო მოსახლეობის დაახლოებით 2.7%-ს შეადგენს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქსტატის მონაცემების მიხედვით, დაახლოებით 82,000 პირის შემთხვევაში არ იყო მითითებული ან რესპოდენტმა უარი განაცხადა, პასუხის გაცემაზე. რაც ნიშნავს იმას, რომ ქვეყანაში შშმ პირების რეალური რაოდენობა, სავარაუდოდ, უფრო მაღალია.


2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, ყველაზე მეტი – 58,255 (58.2%) შშმ პირი მიეკუთვნება მეორე ჯგუფს,² სადაც ერთიანდება მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (იხ. სურათი #1). საქსტატის მონაცემებით, შშმ ბავშვების რაოდენობაა 5,172.

შშმ პირების ყველაზე დიდი რაოდენობა (23,511) ქალაქ თბილისში ფიქსირდება, თუმცა, მათი წილი ქალაქის საერთო მოსახლეობაში, ქვემო ქართლის რეგიონის შემდეგ, ყველაზე დაბალია და 2.12%-ს შეადგენს. შშმ პირების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლები ფიქსირდება შემდეგ რეგიონებში: რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი – 5.8%, იმერეთი – 3.64%, გურია – 3.47%, შიდა ქართლი – 3.29% (იხ. სურათი #2 და #3).

სურათი #1 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განაწილება სტატუსის მიხედვით



სურათი #2 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების წილი საერთო მოსახლეობაში რეგიონების მიხედვით



² შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის განსაზღვრის წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, - ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება- 2003 წლის 13 იანვარი

სურათი #3 - მოსახლეობის განაწილება რეგიონების და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სტატუსის მიხედვით								
	სულ მოსახლეობა	არცერთი ჯგუფი	I ჯგუფი (მკვეთრი)	II ჯგუფი (მნიშვნელოვანი)	III ჯგუფი (ზომიერი)	შშმ ბავშვი	უარი პასუხზე	არ არის მითითებული
საქართველო	3 713 804	3 531 642	26 784	58 255	9 902	5 172	5 382	76 667
ქ. თბილისი	1 108 717	1 058 813	6 455	13 459	2 187	1 410	1 221	25 172
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	333 953	315 366	2 515	4 845	1 063	566	693	8 905
გურია	113 350	106 148	1 044	2 337	327	225	678	2 591
იმერეთი	533 906	505 448	5 101	11 836	1 708	779	125	8 909
კახეთი	318 583	303 396	2 494	5 561	878	450	769	5 035
მცხეთა-მთიანეთი	94 573	89 425	722	1 692	279	102	215	2 138
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	32 089	29 721	462	1 181	179	39	31	476
სამეგრელო-ზემო სვანეთი	330 761	314 116	2 546	5 794	1 031	453	201	6 620
სამცხე-ჯავახეთი	160 504	154 050	1 121	2 301	540	181	77	2 234
ქვემო ქართლი	423 986	405 485	2 138	4 018	884	554	1 305	9 602
შიდა ქართლი	263 382	249 674	2 186	5 231	826	413	67	4 985

წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური

შშმ პირთა სტატისტიკურ მონაცემებს ასევე აღრიცხავს საქართველოს სოციალური მომსახურების სააგენტო, სადაც ასახულია მხოლოდ სოციალური პაკეტის და სხვა სახელმწიფო გასაცემლების მიმღები შშმ პირები. ეს სტატისტიკური მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ შშმ პირთა ჯამურ ოდენობას, რეგიონებისა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დადგენილი ჯგუფების მიხედვით. ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2017 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, სოციალური პაკეტის მიმღებ შშმ პირთა რაოდენობაა 125,104 (იხ. სურათი #4). 2015 წელს სამინისტროდან მიღებული ანალოგიური მონაცემებით, საქართველოში რეგისტრირებული იყო 118,651 შშმ პირი, შესაბამისად, ბოლო ორ წელიწადში სოციალური დახმარების მიმღებ შშმ პირთა რაოდენობა გარკვეულწილად გაიზარდა.


სურათი #4 - სოციალური პაკეტის მიმღები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (2017 წელი)						
რეგიონი	სულ	I ჯგუფი (მკვეთრი)	II ჯგუფი (მნიშვნელოვანი)	III ჯგუფი (ზომიერი)	შშმ ბავშვი	შშმპ მოპოვ. უფლ.
სულ საქართველო	125 104	26 568	75 268	5 836	10 052	7 380
თბილისი	29 203	6 536	16 513	1 593	3 005	1 556
იმერეთი	23 699	4 972	15 157	818	1 439	1 313
აჭარა	14 529	3 230	8 541	673	1 249	836
სამეგრელო-ზემო სვანეთი	12 765	2 619	8 047	386	905	808
კახეთი	10 931	2 104	6 855	567	798	607
ქვემო ქართლი	10 239	2 369	5 743	591	1 053	483
შიდა ქართლი	10 010	1 870	5 982	574	647	937
სამცხე-ჯავახეთი	4 754	1 005	2 861	220	338	330
გურია	4 681	949	2 962	192	363	215
მცხეთა-მთიანეთი	2 788	601	1 631	184	193	179
რაჭა-ლეჩხუმი - ქვემო სვანეთი	1505	313	976	38	62	116

წყარო: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

როგორც სტატისტიკის ეროვნული სამსახური, ისე ჯანდაცვის სამინისტრო შშმ პირების შესახებ არასრულყოფილ სტატისტიკურ მონაცემებს აღრიცხავს. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საყოველთაო აღწერის შედეგად მიღებული მონაცემების სიზუსტეზე მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს შშმ პირების მიღებული რაოდენობრივი მაჩვენებლებიც. კერძოდ, 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად სულ აღრიცხულია 100,113 შშმ პირი, მაშინ, როდესაც 2015 წლის 1 მარტის მდგომარეობით სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ რეგისტრირებული იყო 118,651 მხოლოდ სოციალური დახმარების მიმღები შშმ პირი, ხოლო 2017 წელს – 125,104 (იხ. სურათ #5).

მონაცემებს შორის შეუსაბამობა განსაკუთრებით თვალშისაცემია შშმ ბავშვების შემთხვევაში. საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში 5,172 შშმ ბავშვია, ხოლო ჯანდაცვის სამინისტროს მონაცემებით, 2017 წელს რეგისტრირებულია დაახლოებით ორჯერ მეტი – 10,052 სოციალური დახმარების მიმღები შშმ ბავშვი. შშმ ბავშვების შესახებ შეუსაბამო სტატისტიკური მონაცემები ნათლად აჩვენებს, რომ საყოველთაო აღწერის პროცესში ხშირი იყო შემთხვევები, როდესაც მოსახლეობის მხრიდან არ ხდებოდა საკუთარ თავზე ან/და მის ოჯახის წევრზე სათანადო ინფორმაციის მიწოდება შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ, რაც ამგვარი ინფორმაციის მნიშვნელობის შესახებ მოსახლეობის ცნობიერების დაბალ ხარისხზე მიუთითებს.



სურათი #5 - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ არასრულყოფილი სტატისტიკა



შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების სტატისტიკა

უმუშევრობა ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და მძიმე პრობლემაა, რომელიც შშმ პირების შემთხვევაში სამუშაო გარემოს ადაპტირების პრობლემების, თუ მანკიერი სტერეოტიპების არსებობის გამო, კიდევ უფრო მძაფრად იჩენს თავს.


საყოველთაო აღწერის შედეგები ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოში შშმ პირების დასაქმების და საკუთარი თავის რეალიზაციის შესაძლებლობა ნაკლებად ეძლევათ. კერძოდ, 2014 წლის მდგომარეობით, საქართველოში 15 წლის და უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 96,102 პირიდან დასაქმებული იყო **34,4%** (33 027 პირი), ხოლო დანარჩენი მოსახლეობის დასაქმების მაჩვენებელი შეადგენდა 54%-ს. ამასთან, დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების 86,2% წარმოადგენდა თვითდასაქმებულს³, მაშინ როდესაც ანალოგიური მაჩვენებელი დანარჩენ მოსახლეობაში შეადგენდა 53,6%-ს.



³ მესაკუთრის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, მოგების ან ოჯახური შემოსავლის (ფულით ან ნატურით) მიღების მიზნით, აგრეთვე ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი

2014 წლის მდგომარეობით, საქართველოში 15 წლის და უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 96,102 პირიდან დაქირავებით დასაქმებული იყო მხოლოდ 4.8% – 4,571 პირი. ამასთან, როგორც სტატისტიკური მონაცემები აჩვენებს, შშმ პირების სტატუსის მიხედვით დაქირავებით დასაქმების მაჩვენებელი განსხვავებულია. მაგალითად, მკვეთრად გამოხატული (I ჯგუფი) 15 წლის და ზემოთ შშმ პირებიდან დასაქმებული იყო მხოლოდ 3.8%. მნიშვნელოვნად გამოხატული (II ჯგუფი) შშმ პირებიდან – 4.8%, ხოლო ზომიერად გამოხატული (III ჯგუფი) შშმ პირებიდან – 7.8%. 15-16 წლის 1,161 შშმ ბავშვის შემთხვევაში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მითითებულია, რომ მათი დასაქმების მაჩვენებელი არ აღემატება 10 შემთხვევას (იხ. სურათი # 8).

საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილში, რომელიც არ მიეკუთვნება შშმ პირების არც ერთ ჯგუფს, დაქირავებით დასაქმებულთა მაჩვენებელი შეადგენს დაახლოებით 25.7%-ს, რაც დაახლოებით 5-ჯერ აღემატება შშმ პირების ყველა ჯგუფის საერთო მაჩვენებელს (იხ. სურათი #7).




წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან მიღებული ინფორმაცია

სურათი #9- 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განაწილება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სტატუსის და დასაქმების სტატუსის მიხედვით		
	სულ მოსახლეობა	დაქირავებით მომუშავე
სულ	3 022 475	748 599
არცერთი ჯგუფი	2 860 207	733 794
I ჯგუფი	26 784	1 016
II ჯგუფი	58 255	2 778
III ჯგუფი	9 902	777
შშმ ბავშვი	1 161	...
უარი პასუხზე	4 589	629
არ არის მითითებული	61 577	

... შემთხვევათა რაოდენობა არ აღემატება 10-ს

საჯარო სამსახურის ბიუროს მონაცემებით, შშმ პირების დასაქმების პრაქტიკა განსაკუთრებით მწირია იმ საჯარო დაწესებულებებში, სადაც საქმიანობა ითვლება საჯარო სამსახურად. კერძოდ, როგორც ირკვევა, 2014 წელს საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საჯარო მოსამსახურეთა რიცხვი შეადგენდა მხოლოდ 24-ს. ეს მაჩვენებელი 2015 წელს 112 მდე გაიზარდა, ხოლო 2016 წელს დაახლოებით განახევრდა და კვლავ 52-მდე შემცირდა (იხ. სურათი #10).



წყარო: საჯარო სამსახურის ბიურო

საჯარო სექტორში შშმ პირების უმრავლესობა დასაქმებულია ადგილობრივ თვითმმართველობების ორგანოებში, შესაბამისად, საჯარო სექტორის 2014-2016 წლების ტენდენციებს უმეტესწილად განაპირობებს მსგავს დაწესებულებებში შშმ პირების დასაქმების პრაქტიკა. მაგალითად, 2016 წელს ადგილობრივ თვითმმართველობების ორგანოებში დასაქმებული შშმ პირების რიცხვი 77-დან 28-მდე (63%-ით) შემცირდა.

2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში განხორციელებული ცვლილების შედეგად, დაწესდა შეზღუდვები საჯარო მოსამსახურეთა სამუშაო და შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობის განსაზღვრაზე. შედეგად, 2015 წლის შემდეგ ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებში დასაქმებულთა რიცხვი მნიშვნელოვნად იკლებს. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საერთო კლების ტემპს მნიშვნელოვნად ალემატება 2016 წელს დასაქმებულ შშმ პირთა კლების ტემპი, რაც ეკვივრებს აყენებს ადგილობრივ თვითმმართველობებში თანასწორობის საფუძველზე თანამშრომელთა შემცირების არსებულ პრაქტიკას.

საჯარო სამსახურის ბიუროს მონაცემებით, ბოლო წლებში შშმ პირთა დასაქმების მხოლოდ ერთეული შემთხვევები ფიქსირდება საჯარო დაწესებულებების ისეთ ჯგუფებში, როგორიცაა საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციები, სასამართლოები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები (იხ. სურათი #11). არცერთი შშმ პირი არ იყო დასაქმებული საქართველოს პარლამენტში. მსგავსი პრაქტიკის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად შესაძლებელია განხილულ იქნას სახელმწიფო დაწესებულებების არაადაპტირებული სამუშაო პირობები. სმიდ ფონზე მისასალმებელია ის ფაქტი, რომ საქართველოს პარლამენტის მიერ,

IDFI-ისთან თანამშრომლობით, 2017 წლის ნოემბერში წარმოდგენილი იქნა პარლამენტის შენობის (თბილისი) [ადაპტირების გეგმა](#).

სურათი #11 – საჯარო სექტორში დასაქმებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების რაოდენობა დაწესებულების სახეების მიხედვით			
საჯარო დაწესებულება	2013-2014	2015	2016
საქართველოს მთავრობისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციები	-	1	1
საქართველოს პარლამენტი	-	0	0
აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკები	-	9	6
სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორების ადმინისტრაციები	0	0	0
სამინისტროები და სახელმწიფო მინისტრების აპარატები	5	22	13
ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	18	77	28
სასამართლოები	-	1	1
საჯარო სამართლის იურიდიული პირები	-	2	3
სხვა სახელმწიფო დაწესებულებები	1		
სულ	24	112	52


წყარო: საჯარო სამსახურის ბიურო

საქართველოში შშმ პირთა დასაქმების პრობლემის მეტი თვალსაჩინოებისთვის მნიშვნელოვანია ევროპის ქვეყნებში მსგავსი მონაცემების ანალიზი. ევროკავშირის ოფიციალური [სტატისტიკური მონაცემების](#) მიხედვით, 2014 წლის მდგომარებით ევროპის ქვეყნებში საშუალოდ შშმ პირთა დასაქმების მაჩვენებელი 48.7%-ს შეადგენდა (იხ. სურათი #12). შშმ პირების დასაქმების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან შვეიცარია – 70.4%, გერმანია – 59.7%, ლუქსემბურგი – 57.8%, შვედეთი – 56.5%, ფინეთი – 55.2%, და ესტონეთი – 55.1%. ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საბერძნეთში – 27.8% და სერბეთში – 25.8% ფიქსირდება.⁴

ევროპის ქვეყნებში დასაქმებული შშმ პირების საშუალოდ 69% არის დაქირავებით დასაქმებული. შესაბამისად, ევროპის ქვეყნებში შშმ პირთა დაქირავებით დასაქმების მაჩვენებელი საშუალოდ 33,6%-ს შეადგენს, რაც საქართველოს მაჩვენებელს დაახლოებით 7-ჯერ აღემატება.

⁴ „გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ევროკავშირის სტატისტიკა ეფუძნება შშმ პირების განსხვავებულ კლასიფიკაციას და ასაკობრივ ჯგუფებს, რაც ზღუდავს საქართველოსა და ევროკავშირის მონაცემების პირდაპირი შედარების შესაძლებლობას.“

სურათი #12 – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების სტატისტიკა ევროკავშირის ქვეყნებში



ინფრასტრუქტურის ადაპტირებაზე გაწეული ხარჯები

ქვეყნისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს შშმ პირებისთვის არაადაპტირებული ინფრასტრუქტურა, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვან მონაწილეობას. შშმ პირთა სოციალური დაცვის შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებს სოციალური ინფრასტრუქტურით შშმ პირთა შეუფერხებელი სარგებლობისთვის შესაბამისი პირობების შექმნას. ამასთან, კანონი სავალდებულოდ განსაზღვრავს შშმ პირთა მოთხოვნილებების გათვალისწინებას სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების დაპროექტებისა და მშენებლობისას.

დედაქალაქის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი ქალაქ თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, ქალაქის მერია ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას მუდმივად ითვალისწინებს მისი შშმ პირთათვის ადაპტირებას. თუმცა, როგორც მოწოდებული მონაცემები ცხადყოფს, კეთილმოწყობის სამსახურის მიერ ვერ ხერხდება შშმ პირთათვის ინფრასტრუქტურის ადაპტირებაზე გაწეული ხარჯების პროექტის მთლიანი ხარჯებისგან განცალკევებით აღრიცხვა. ამასთან, IDFI-ისთვის მოწოდებულია მხოლოდ 2015-2017 წლების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

სურათი #13 – თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია 2013-2017 წლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ინფრასტრუქტურის ადაპტირებაზე გაწეული ხარჯების შესახებ			
პერიოდი	შესრულებული სამუშაო	ადაპტირების ხარჯი	მთლიანი პროექტის ხარჯი
2015-2016	რეაბილიტაცია ჩაუტარდა, პანდუსები მოეწყო 100-ზე მეტ ქუჩაზე	-	-
2015	მიუსაფართო თავშესაფრის სამშენებლო სამუშაოები	-	1,650,000
2015	ლოკომოტივის სტადიონის რეაბილიტაცია და ადაპტირება	-	870,000
2016	ვეტერანთა დასვენებისა და კულტურის პარკში („კიკვიძის ბაღში“) მედიათეკის მშენებლობის სამუშაოები	-	2,000,000 ლარზე მეტი
2016	ბარათაშვილისა და გულიას ხიდების რეაბილიტაცია	-	-
2016	პუშკინის ქუჩაზე მოწყობილი ესტაკადა	-	4,289,479
2017	შპს „თბილსერვის ჯგუფის“ მიერ განხორციელდება შესყიდვის პროცედურები, რათა ფუნქციონირება განაახლოს ვაკის და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მიმდებარედ მიწისქვეშა გადასასვლელში შშმ პირთათვის დამონტაჟებულმა ლიფტებმა.	-	-

ქალაქ თბილისის რაიონებში შშმ პირებისთვის ინფრასტრუქტურის ადაპტირებაზე პასუხისმგებელ ორგანოებს ასევე წარმოადგენენ შესაბამისი რაიონული გამგეობები, რომლებიც საკუთარი დაფინანსების ფარგლებში ახორციელებენ გარკვეულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს.

ქალაქ თბილისის რაიონული გამგეობიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, სხვადასხვა გამგეობაში შშმ პირებისთვის ინფრასტრუქტურის ადაპტირებაზე გაწეული ხარჯების როგორც აღრიცხვის, ისე მისი მოცულობის თვალსაზრისით, არაერთგვაროვანი პრაქტიკა ფიქსირდება. ამასთან, როგორც მონაცემები აჩვენებს, წლების განმავლობაში არათანმიმდევრულად ხდება ფინანსური სახსრების გამოყოფა შშმ პირთათვის ინფრასტრუქტურის ადაპტირებაზე. მაგალითად, 2013 წელს, ინფრასტრუქტურის ადაპტირებაზე გაწეული ხარჯების შესახებ არცერთი გამგეობის მიერ არ იქნა ინფორმაცია მოწოდებული. 2014 წელს ადაპტირებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია მოწოდებულია მხოლოდ ისნის და სამგორის გამგეობების მიერ. კერძოდ, ისნის გამგეობამ პანდუსების მოწყობაზე დახარჯა 20,118 ლარი, ხოლო სამგორის გამგეობამ – 36,984 ლარი (იხ. სურათი #14).

2015-2017 წლებში ყველაზე დიდი ხარჯი ადაპტირებაზე გაწეულია გლდანის გამგეობის მიერ. კერძოდ, 60.9 ათასი ლარი დაიხარჯა უშუალოდ პანდუსების მოწყობაზე, ხოლო სხვადასხვა ობიექტებზე კეთილმოწყობის დაახლოებით 453 ათასი ლარის ღირებულების სამუშაოებისას გათვალისწინებულ იქნა შშმ პირთათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მითითებული მონაცემების გარდა, გამგეობების უმრავლესობის მიერ აღნიშნულია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის პანდუსების მოწყობა ძირითადად გათვალისწინებულია სპორტული მოედნების, სკვერების და ტროტუარების რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის დროს, რომლის თვითღირებულება შედის პროექტის საერთო ღირებულებაში, ხოლო განცალკევებით მსგავსი მონაცემების სრულყოფილი აღრიცხვა არ ხდება.

<i>სურათი #14 – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ინფრასტრუქტურის ადაპტირებაზე გაწეული ხარჯები</i>					
	2013	2014	2015	2016	2017
<i>გლდანის გამგეობა</i>	0	0	331,688,6	112,862.8	69,376
<i>დიდუბის გამგეობა</i>	-	-	46,525,7	-	-
<i>ვაკის გამგეობა</i>	-	-	816.2	-	-
<i>ისნის გამგეობა</i>	-	20,118,8	1,579	11,404.6	8,644.7
<i>მთაწმინდის გამგეობა</i>	-	-	-	-	31,847.3
<i>ნაძალადევის გამგეობა</i>	-	-	21,596	7,590.1	-
<i>სამგორის გამგეობა</i>	-	36,984	-	21,033.9	-
<i>ჩუღურეთის გამგეობა</i>	-	-	-	51,944.3	5,208.3
<i>საბურთალოს გამგეობა</i>			16,743		
<i>კრწანისის გამგეობა</i>			6,959.7		

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე გაცემული მართვის მოწმობები და სატრანსპორტო საშუალებების საცნობი ნიშნები


შშმ პირებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზისას IDFI-მ ასევე შეისწავლა მათი ავტოსატრანსპორტო საშუალებით გადაადგილებასთან დაკავშირებული საკითხები. კერძოდ, შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოთხოვნილი იქნა შშმ პირებზე გაცემული მართვის მოწმობების, ხოლო ქალაქ თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურიდან – შშმ პირთა ავტომობილებისთვის განსაზღვრული საცნობი ნიშნების გაცემის შესახებ სტატისტიკური მონაცემები. როგორც მიღებული ინფორმაციით ირკვევა, შშმ პირებზე როგორც მართვის მოწმობების, ასევე საცნობი ნიშნების გაცემის თავლსაზრისით 2017 წელს მნიშვნელოვანი ზრდა ფიქსირდება.

შსს-ს მომსახურების სააგენტოს ინფორმაციით, 2017 წელს მართვის მოწმობა გაცემულია 193 პირზე, რაც დაახლოებით ორჯერ აღმატება 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (იხ. სურათი #15). 2013 წელს მართვის მოწმობა გაცემული იყო მხოლოდ 18 შშმ პირზე. 2017 წელს გაცემული მართვის მოწმობების რაოდენობის ზრდის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად შესაძლებელია განვიხილოთ 2016 წლის მიწურულს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სპეციალური საჭიროების გარკვეული ჯგუფების შშმ პირებისთვის მომსახურების სააგენტოში ადაპტირებული ავტომობილით სარგებლობის შესაძლებლობის [მინიჭება](#). ამ ცვლილებამდე, ადაპტირებული ავტომობილების საჭიროების მქონე შშმ პირების მიერ მართვის მოწმობის აღება დაკავშირებული იყო მთელ რიგ სირთულეებთან, რაც პრაქტიკულ გამოცდაზე მხოლოდ საკუთარი ადაპტირებული ავტომობილით გასვლაში [გამოიხატებოდა](#).


თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურიდან მიღებული მონაცემების მიხედვით, 2014 წლის შემდეგ ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდება შშმ პირების სატრანსპორტო საშუალებებზე გაცემული საცნობი ნიშნები. 2014 წელს გაცემულია 101 საცნობი ნიშანი, 2015 წელს – 127, 2016 წელს – 219, ხოლო 2017 წლის 15 ნოემბრამდე – 270 (იხ. სურათი #16).

შშმ პირების სატრანსპორტო საშუალებებზე გაცემული საცნობი ნიშნების ზრდის ტენდენციები კიდევ უფრო მეტ მორალურ პასუხისმგებლობას აკისრებს საზოგადოებას, თავი შეიკავოს შშმ პირთათვის განსაზღვრული პარკირების ადგილით სარგებლობისგან. ამ მხრივ, განსაკუთრებულად პრობლემატურად უნდა შეფასდეს IDFI-ის კვლევაში ([„ქალაქ თბილისის საკრებულოს ავტომობილების გამოყენების პრაქტიკა“](#)) ასახული ხშირი შემთხვევები, როდესაც მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირთა სარგებლობაში არსებული ავტომობილები ჯარიმდებიან შშმ პირთა პარკირების ადგილის გამოყენების გამო.

სურათი # 15 – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე გაცემული მართვის მოწმობები



სურათი # 16 – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის სატრანსპორტო საშუალებებზე გაცემული საცნობი ნიშნები



შეჯამება

კვლევის ფარგლებში შესწავლილი სტატისტიკური მონაცემები ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი პრობლემები შეინიშნება შშმ პირებთან დაკავშირებული სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების წარმოების თვალსაზრისით. განსაკუთრებით პრობლემურად უნდა შეფასდეს შშმ პირთა ფუნქციური შეზღუდვის სახეების მიხედვით სათანადო ინფორმაციის არ არსებობა, რაც მნიშვნელოვნად ართულებს შშმ პირთა უფლებების კონვენციის დასაკმაყოფილებლად საჭირო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას.

ამასთან, კვლევაში წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემების შინაარსობრივი ანალიზი მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს სახელმწიფოს მხრიდან შშმ პირთა სოციალურ გარემოში ინტეგრაციისა და ადაპტაციის ხელშეწყობის ეფექტიანობაზე. არსებული მონაცემებით, განსაკუთრებული პრობლემები შეინიშნება შშმ პირების დასაქმების და მათთვის ადაპტირებული გარემოს უზრუნველყოფის თვალსაზრისით. საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, საქართველოში შშმ პირების დაქირავებით დასაქმების მაჩვენებელი მხოლოდ 4.8%-ია, რაც არსებული პრობლემის სიმწვავეზე მიანიშნებს. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში არსებული პრაქტიკა ნათლად აჩვენებს შშმ პირების დასაქმების ხელშეწყობის მნიშვნელობის აუცილებლობას, რაც უზრუნველყოფს მათ თვითრეალიზებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტი სწორედ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმება და მათი უნარების საზოგადოებრივი საქმისთვის სასიკეთოდ გამოყენება უნდა იყოს, სამწუხაროდ, არსებული სტატისტიკა ჯერ-ჯერობით ასეთი პოლიტიკის არ არსებობაზე მეტყველებს.

IDFI იმედს გამოთქვამს, რომ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან უახლოეს მომავალში გადაიდგმება ქმედითი ნაბიჯები შშმ პირებთან დაკავშირებული ზუსტი სტატისტიკის წარმოებისა და მონაცემთა შეგროვების სრულყოფის თვალსაზრისით, და რომ სახელმწიფო გაზრდის ძალისხმევას შშმ პირთა სოციალურ გარემოში ინტეგრაციისა და ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით.